

საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშები

სზაკ-ის 49 მუხლი. ანგარიშის წარდგენა

ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს:

- ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;
- ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
- გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;
- დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.
- ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;
- ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;
- ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად
განსაზღვრული ანგარიშის ფორმა

საქართველოს პრეზიდენტს / საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს / საქართველოს პრემიერ მინისტრს

ბატონ / ქალბატონ

საჯარო დაწესებულების სახელწოდება

ა. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი

ბ. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შესახებ

არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა	უარის თქმის საფუძვლები (შესაბამისი საკანონმდებლო აქტები)	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები	მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა

გ. მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)

დ. მონაცემები საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ

საჯარო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი	საჯარო მონაცემთა ბაზების აღწერილობა

ე. მონაცემები კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ

კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა	სხდომის დახურვის საფუძველი - შესაბამისი საკანონმდებლო აქტები	გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები	მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელი თანხის ოდენობა

ვ. მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა	დარღვევებზე პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების რაოდენობა

ზ. სტატისტიკური მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ:

შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები კატეგორიების მიხედვით	საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა	არ დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა	ასლის მოსაკრებლის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი
საქართველოს მოქალაქე				
უცხო ქვეყნის მოქალაქე				
მოქალაქეობის არ მქონე პირი				
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი				

სამეწარმეო იურიდიული პირი					
მედია საშუალება (ბეჭდვითი, ონლაინ, სატელევიზიო საშუალება) / ჟურნალისტი					
დიპლომატიური წარმომადგენლობა/ საერთაშორისო ორგანიზაცია					
ადმინისტრაციული ორგანო					

ხელმოწერა:

თარიღი:

